# მარად უბერებელი მასწავლებლები

**მეორე საჯარო სკოლელებმა დამსახურებული მასწავლებლები ლამზირა გიორგაძე და რუსუდან ვაშალომიძე გააცილეს**




*ლამზირა გიორგაძე: „იქედან დავიწყებ, ამ სკოლაში რომ მოვედი მასწავლებლად. ეს იყო 1961 წელი, არაჩვეულებრივი კოლექტივი, ეტალონად რომ წარმოიდგენდი ძალიან ბევრს, თითქმის უმრავლესობას. მათგან ძალიან ბევრი ვისწავლე. არაჩვეულებრივი სიყვარული მოსწავლისადმი, პიროვნებისადმი, ახალგაზრდა მასწავლებლისადმი, კონკრეტულად ზოგიერთები ჩემი მასწავლებლებიც იყვნენ. ყველას დიდ პატივს ვცე,მ, ყველას სული ნათელში ამყოფოს უფალმა, მაგრამ ამ კოლეგიალურ ურთიერთობაში განსაკუთრებით უნდა გამოვყო, მარგალიტა კუნჭულია, რომელიც ჩემი დამრიგებელი იყო. თუ რამე კარგი არის ჩემში ადამიანური და ღირებული, მის სახელს, მის არაჩვეულებრივ გაკვეთლებს უკავშირდება. ეს არ იყო მხოლოდ გაკვეთილი, ეს იყო ცხოვრების სწავლა. ამ შესწავლილი ცხოვრების გზით გავაგრძელე მე ცხოვრება.*

*ექვსი ათეული წელი ამ სკოლაში ვარ, ყოველთვის ვცდილობდი, მოსწავლეებთან ვყოფილიყავი გახსნილი, მეგრძნობინებინა მათთვის სითბო, ამ დარბაზში ახლა ბევრი ჩემი მოსწავლეა, მათ ემახსოვრებათ, რომ მე არ მახასიათებდა მოსწავლეების გარჩევა, ყველა ერთნაირად მიყვარდა. ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი, იმისა, რომ ამ ექვსი ათეული წლის განმავლობაში ჩემი ასეულობით მოსწავლისგან დღესაც ვგრძნობ პატივისცემას, სიყვარულს და რა ვიცი, სათნოებას.*

*ძალიან მიყვარს ჩემი სკოლა, ჩემი პროფესია, ჩემი მეგობრები, მთლიანად ჩემი კოლექტივი და ჩემი მშვენიერი სამეზობლოც, თქვენ ძალიან დიდი ამაგი გაქვთ ჩემზე, თქვენი დამსახურებაა, რომ მე დღეს აქ ვარ.*

*რაც შეეხება დღევანდელ ღონისძიებას, გაცილებას, არ ვიცი, მე ამას ასე დავარქმევდი: „ცხოვრება მშვენიერია“. მადლობა, ძალიან ძალიან მიყვარხართ.*

*რუსუდან ვაშალომიძე: „მაგონდება, როგორ მოვედი სკოლაში ახალკურსდამთავრებული, პირველ გაკვეთილი მომიწია მეთორმეტე კლასში. როგორ ვიდექი მეთორმეტე კლასელების წინაშე, მთასავით ბიჭები, აშოლტილი გოგონები, მე პატარა, გამხდარი, 48 კილო, ძალიან მოკლე კაბით და ძალიან გრძელი თმით. როგორი მორიდებით და პატივისცემით მიცქეროდნენ ბიჭები, შენიშვნის მიცემა არ მჭირდებოდა გაკვეთილზე, როგორი სიყვარულით მიყურებდნენ გოგონები, როგორი პატივისცემით მექცეოდნენ, მეკითხებოდნენ და იზიარებდნენ ჩემს რჩევებს. უფროსკლასელთა ასეთი დამოკიდებულება ჩემთვის დიდი სტიმული იყო, ყოველივე ამან მერე და მერე ჩემი ცხოვრება უფრო და უფრო კარგად წაიყვანა. ამას თან ერთვოდა ის, რომ ეს იყო მშობლიური სკოლა, აქ დამხვდა ყველა ჩემი მასწავლებელი, რომლებიც ისევე მეფერებოდნენ უკვე კოლეგას, როგორც მეფერებოდნენ სკოლაში მოსწავლეობისას. მიმიღეს თბილად, გემრიელად, სიყვარულით, ამდენი წელი მათი მორიდების გარემოცვაში. ვარ ყველა მასწავლებელს ვუსურვებ, აქ მყოფს და ვინც აქ არ არის, ისეთი სიყვარულით, ისეთი სითბოდი გაელიოს მათი მოღვაწეობა, როგორც მე გავლიე. ისეთი სიამოვნება მიეღოთ ყველა გაკვეთილისგან, როგორსაც მე ვიღებდი ჩემივე ჩატარებული გაკვეთილიდან. ისე წავედი სკოლიდან, ერთხელაც არ შემზარებია გაკვეთილზე შესვლა.*

*ერთ წინადადებს ვიტყვი კიდევ: არ არსებობს რამე კარგად გააკეთო ადამიანმა თუ ოჯახიდან კარგი მდგომარეობით არ გამოდიხარ, მე მაშინ თუ რაიმეს კარგად ვაკეთებდი, ეს იყო ჩემი ოჯახის დამსახურება, დედა, მამა და ჩემი ძმა თავს მევლებოდა, ოღონდ სკოლაში ყოფილიყო ყველაფერი კარგად. მადლობა თქვენ, ყველას ამ ბედნიერი დღისათვის“.*

გვ-2

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 10 (10255) 12 მარტი, 2018 წ. ფასი 60 თეთრი.

# ოზურგეთში მონადირეთა მაღაზია დაიწვა

7 მარტს,ქ. ოზურგეთში, აგრარული ბაზრის ტერიტორიაზე მონადირეთა მაღაზია დაიწვა.

სახანძრო ბრიგადა დროულად იქნა გამოძახებული, მაგრამ ხანძრის სწრაფ ლოკალიზებას ხელი სწრაფად ვერ მოახერხა, იმის გამო, რომ აგრარული ბაზრის ამ მონაკვეთში, რომელიც კერძო მფლობელებს ეკუთვნით, ვიწრო გასასვლელია და სახანძრო მანქანა ვერ შევიდა. მონადირეთა მაღაზია მთლიანად დაიწვა.

თვითმხილველების თქმით, მაღაზიაში ცეცხლის შემჩნევამდე იყო აფეთქების ხმა. დამწვრობა მიიღეს მაღაზიის მეპატრონემ და გამყიდველმა, რომლებიც შემდეგ „მედალფას“ კლინიკაში გადაიყვანეს.

დაშავებულთა მდგომარეობა ამჟამად სტაბილურია.

მაღაზიის მეპატრონე თორნიკე რუსაძეს წლების განმავლობაში ტელეკომპანია „გურიაში“ მთავარ ინჟინრის პოსტი ეკავა.

შსს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ის 187-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ნივთის დაზიანება ან განადგურებას გულისხმობს.




# მერმა „აღიარა" რომ „უფრო მეტი პოტენციალი მანდილოსნებშია"

ოზურგეთის მერიამ ქალბატონებს 8 მარტი მიულოცა. კულტურის განყოფილების ორგანიზებით შეხვედრა რესტორან „გურჯიში" შედგა. სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ქალბატონები საჩუქრებითა და თაიგულებით დაჯილდოვდნენ. გამორჩეულ ქალთა სია ასე გამოიყურება: პედაგოგები: **თამარ ყურაშვილი, ნინო ვაშალომიძე, ლიანა გარაყანიძე, მარინა კონტრიძე, ნანა მგელაძე.** სკოლამდელი აღზრდის ცენტრის პედაგოგები: **ნონა ღლონტი, ირმა ნოდია, ნატო დოლიძე.;** არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი"- **ნონა სადრაძე.;** ექიმები: **დოდო გოგოხია** და **ქეთევან თავაძე.**; სოციალური სააგენტო-**ლეილა სურგულაძე.**; ისტორიკოსი, მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელი-**მარიკა ღლონტი.;** მხატვარი-**მირანდა ვანიძე.**; მსახიობი, ქორეოგრაფი-**მარიკა ქველთაია.;** ბიზნეს სექტორი-**ნატო რუსიძე.;** საყოფაცხოვრებო მომსახურება-**ნანუკა თავართქილაძე.**; სპორტსმენი-**მარინა კოტრიკაძე.**; ფოსტის კურიერი-**ნინო მახარაძე.**; დასუფთავების სამსახურის თანამშრომელი **არვარდ ავაქიანი;.** პოლიციის მაიორი - **ქეთევან ჯაფარიძე.;** „საქველმოქმედო ასოციაცია გურია"- **თამუნა ბარამიძე.;** ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი-**სალომე რაფავაა;** სოციალურად დაუცველი მარტოხელები: **მზია ჟორჟიკაშვილი** და **ცაცო მეგრელიშვილი.**



სტუმარ ქალბატონებს გაზაფხულის დღესასწაულები მიულოცა ოზურგეთის მერმა. ისაუბრა მათ როლზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ,

—ჩემი როგორც მენეჯერის ხედვით ქალები ბევრად მონდომებულები, პასუხისმგებლიანი არიან. უფრო მეტი პოტენციალი მანდილოსნებშია, ვაღიარებ"—თქვა **კოსტანტინე შარაშენიძემ.**

**დავით დარჩია** (საკრებულოს თავმჯდომარე): —გილოცავთ დღესასწაულს თქვენ და ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა ქალბატონს. მინდა ბევრი წარმატებული ქალბატონი გვყავდეს ქვეყანაში, ჩვენს მუნიციპალიტეტში. წარმატებები, ბედნიერება პირად ცხოვრებაში, ოჯახში.

**ლელა საჯაია** (საკრებულოს დეპუტატი): ქალბატონებო, მინდა იყოთ გაზაფხულივით მშვებიერი, ბედნიერი, ფერადოვანი, ცხოვრების ხალისით სავსე. გილოცავთ არა მარტო თქვენ არამედ ყველა მამაკაცს რომლისთვისაც ძვირფასია ქალი, როგორც დედა, მეუღლე, მეგობარი, შვილი, კოლეგა. მინდა თქვენი ცხოვრების ყოველი დღე იყოს განსაკუთრებული. გისურვებთ წარმატებას, საკუთარი თავის რეალიზებას, რადგან დღეს საქართველოში მცდელობის მიუხედავად ბევრი ქალი სამწუხაროდ ვერ ახერხებს საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენას.. მინდა ყველა მათგანს ვუსურვო შეძლონ რის მიღწევასაც ყველაზე მეტად ნატრობენ, რაზეც ოცნებობენ. ეს ოცნება არის სიყვარული, შვილების წარმატება და გვერდით ძლიერი ადამიანები, ძლიერი მამაკაცები რომლებიც ასე სჭირდება დღეს ჩვენ საზოგადოებას. მინდა გითხრათ რომ ქალი არის ყველაზე ძლიერი დამკვიდრებული გამონათქვამიდან განსხვავებით რომ ქალი სუსტია. ვერავინ ვერ დამაჯერებს დედამიწის ზურგზე რომ ქალი არ არის სამყაროს ცენტრი.

საღამო გაფორმებული იყო ლამაზად წაკითხული ლექსით, მუსიკალური, თეატრალური და საცეკვაო ნომრებით.

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;
– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 60 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2,40 ლარი,**
**სამი თვით – 7,20 ლარი,**
**6 თვით –14,40 ლარი,**
**ერთი წლით – 28,80 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*

## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani@rambler.ru**
**558 499100**

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100

გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

**დაიწყეთ ყოველი დილა ალიონზე**

**«ალიონით»**

# მარად უბერებელი მასწავლებლები

### *მეორე საჯარო სკოლელებმა დამსახურებული მასწავლებლები ლამზირა გიორგაძე და რუსუდან ვაშალომიძე გააცილეს*

მეორე საჯარო სკოლიდან კარგი ღონისძიების ჩატარება არ გვიკვირს, მაგრამ 7 მარტს გამართული დღესასწაული, რომელიც სკოლიდან დამსახურებული პედაგოგების ლამზირა გიორგაძისა და რუსუდან ვაშალომიძის გაცილებას მიეძღვნა, დაუვიწყარი იქნება, ვითარცა ღვაწლი ამ ძვირფასი ქალბატონებისა. იშვიათად მინახავს ასეთი მოფერება და ვერშელევა, სულიდან მორაკრაკე ნაკადულივით დაძრული სიყვარული, რომელიც, რასაკვირველია, დარბაზმა ვერ დაიტია. ან როგორ დაიტევდა ამ ჰარმონიულ უკიდეგანობას. ყველაზე დაუვიწყარი ამ ღონისძიებაში, ჩვენი აზრით, თვით ამ დამსახურებული ქალბატონების გამოსვლა იყო და ალბათ არის ლოგიკა იმაში, რომ წერილი მათი ციტირებებით დავიწყეთ.

ქალბატონებს ლამზირა გიორგაძესა და რუსუდან ვაშალომიძეს დიდხანს გაჰყვებათ საგზლად მეორე საჯარო სკოლის პედაგოგებისა და მოსწავლეების მიერ სატოვნად, შემოქმედებითად წარმოჩენილი უსაზღვრო პატივისცემა და სიყვარული.

დამსახურებულ პედაგოგებს მიესალმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე, ვიცე-მერი ალექსანდრე სურგულაძე, მუნიციპალიტეტის მერიის სახელით მათ მიესიყვარული და სამახსოვრო საჩუქარი გადასცა კულტურის სამსახურის ხელმძღვანელმა, მეორე საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორმა მარინა ჯაფარიძემ.

საჩუქარითა და საუკეთესო სურვილებით წარსდგა მათ წინაშე განათლებისა და მეცნიერების თავისუფ-ალი პროფკავშირი რაიონული ორგანიზაციის უფროსი როზა გოგუაძე.

ღონისძიების დასასრულს ლამზირა გიორგაძესა და რუსუდან ვაშალომიძის პირობითი ვარსკვლავები გაუხსნეს.

ღონისძიების შემდეგ „ალიონთან“ საუბარში სავსებით ლოგიკური კითხვა დასვა: რატომ არ უნდა უხსნიდნენ ნაღდ ვარსკვლავებს დამსახურებულ პედაგოგებს?!

ვიმედოვნებთ, შესაბამისი სტრუქტურები უპასუხოდ არ დატოვებენ ამ კითხვას.

# მდინარე სუფსამ ნაგომარში საყანე ფართობები დატბორა



წინა კვირაში, უამინდობისა და ძლიერი წვიმის შედეგად, ადიდებულმა მდინარე სუფსამ სოფელ ნაგომარში მოსახლეობის კუთვნილი საყანე ფართობები დატბორა. წალეკულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაწილი. დაზიანებული ტერიტორია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ოსიკო თოთიბაძემ მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსთან, თემურ გიორგაძესთან ერთად დაათვალიერა.

–„უხვის დინების გამო, სოფელ ნაგომარში, საყანე ფართობების ნაწილი წალეკულია, საფრთხე ექმნება, ასევე ოზურგეთი-ჩოხატაურის დამაკავშირებელ სახელმწიფო მნიშვნელობის საავტომობილო გზას. დღის წესრიგში დგას დამცავი ჯებირების მოწყობა და ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა. მუნიციპალიტეტის მერია შესაბამის სტრუქტურებთან ერთად, უახლოეს პერიოდში მიიღებს ზომებს აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად,“- აღნიშნა მერის მოადგილემ.

<u>*რეპლიკა*</u>

# ოზურგეთის მერობის მუდმივი კანდიდატი




ნიუ-იორკში არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ გადმოცემით ვიცი, რომ კოსმეტიკის სასახლეს ასეთი ელექტრონული რეკლამა ამშვენებდა: „სასახლიდან გამოსულ ქალს თვალს ნუ ჩაუკრავთ, ის შეიძლება თქვენი ბებია აღმოჩნდეს“.

ოზურგეთში, ამ შენობიდან გამოსული კაცი კი, ერთ მშვენიერ დღეს, უფრო სწორად, რომელიმე მომავალი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, შეიძლება მართლაც გახდეს ჩვენი ქალაქის მერი. აკი, ფოტოს გადაღებისას გაგვეხუმრენ კიდეც თანაქალაქელები:

„ტყუილა იღებთ მაგ სურათს, გოჩა პრინციპული კაცია და სანამ მერი არ გახდება, არ არის მაგ წარწერის ჩამომხსნელი“.

იმედია, ბატონი გოჩა არ გვიწყენს ამ ხუმრობანარევ რეპლიკას და მომავალი თვითმმართველობის არჩევნებამდე, დროებით მაინც, მოაცილებს „ავერსის“ შენობიდან ანშლაგად გაფენილ ამ აბრას.

# გურიის გუბერნატორმა მხცოვან ქალბატონს 8 მარტი მიულოცა



—უდიდესი სითბოთი, პატივისცემით გილოცავთ დღევანდელ დღეს და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ - გუბერნატორმა 95 წლის ქალბატონს 8 მარტი მიულოცა.

გურიის გუბერნატორი მერაბ ჭანუყვაძე, მოადგილესთან არჩილ ყაზაიშვილთან ერთად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუში მცხოვრებ 95 წლის დარეჯან ხანთაძეს ესტუმრა და ქალთა საერთაშორისო დღე - 8 მარტი მიულოცა.

—დიდი მადლობა გუბერნატორს, რომ მესტუმრა, დამაფასა. დღევანდელი დღე მომილოცა და დამასაჩუქრა. ყველას წარმატებით გევლოთ – აღნიშნა დარეჯან ხანთაძემ.

დარეჯან ხანთაძეს საპატიო დვაბზუელის წოდება 2017 წელს მიენიჭა.

# სოფელ მთისპირში მგლებმა ძროხა შეჭამა

4 მარტს, ღამით, სოფელ მთისპირში ნემსაძეების უბანში, მგელმა ან ტურების ჯგუფმა ძროხა შეჭამეს.

როგორც გვითხრეს, გ. ნემსაძის კუთვნილი ფური ღამით შემოღობილ ფართობში, ე.წ. „ნიგვზებში“ დარჩათ. მაკე ფურისთვის ნადირს ცური გამოეჭამა

# საკრებულოს ახალი ინიციატივა –„თვითმმართველობა განათლებისთვის“



2018 წლის 9 მარტს გურიის ახალგაზრდულმა რესურსცენტრმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალი ინიციატივის - „თვითმმართველობა განათლებისათვის“ - ფარგლებში უმასპინძლა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილეს ბატონ გიორგი კილაძეს. მან სკოლის პედაგოგებს, მოსწავლეებს და დაინტერესებულ პირებს გააცნო ეროვნული ბიბლიოთეკის ახალი პროექტი „სასკოლო ლიტერატურა’, რომელიც მოიცავს ციფრულ სასკოლო ლექსიკონს, სასკოლო ლიტერატურის ტექსტებს და მრავალ ციფრულ საგანმაათლებლო რესურსს. პროქტის მიზანი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესება, ეროვნული ბიბლიოთეკის სკოლასთან მჭიდრო დაკავშირება და ახალგაზრდების ინტერესის გაზრდაა კულტურული მემკვიდრეობის მიმართ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი, საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ქალბატონმა ლელა საჯაიამ გამოსვლისას ისაუბრა ინიციატივაზე, რომელიც შესაძლოა განხორციელდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრთან თანამშრომლობით და მიზანი კი სამოქალაქო განათლების კუთხით მოსწავლეთა წახალისება იქნება.

როგორც საკრებულოს აპარატის უფროსმა ნანა თავდუმაძემ აღნიშნა „საკრებულო მიესალმება საგანმანათლებლო პროცესში ციფრული ტექნოლოგიების განვითარებას, რომელიც შესაძლებლობას მისცემს წარმატებულ მომავალზე ორიენტირებულ საზოგადოებას ფეხი აუწყოს პროცესს, მაქსიმალურად გამოიყენოს სიახლეები კულტურულ, ეკონომიკურ თუ სხვა სფეროებში.”

# „ათეა“- მ რეგიონებში სამუშაო შეხვედრები დაიწყო

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულმა ასოციაციამ რეგიონებში სამუშაო შეხვედრები დაიწყო. ,,ათეა‘‘- ს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე ნათია ღვინაშვილი, ასოციაციის წარმომადგენლებთან და თვითმმართველობის ექსპერტთან დავით ზარდიაშვილთან ერთად, გურიის გუბერნატორს მერაბ ჭანუყვაძეს, ასევე ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებს შეხვდა.

ნათია ღვინაშვილმა თვითმმართველობათა ორგანოების წარმომადგენლებს ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა და აღნიშნა, რომ ის პროექტები, რომლებსაც ,,ათეა‘‘ მომავალში განახორციელებს, უფრო მიზნობრივი და მაქსიმალურად მორგებული იქნება იმ საჭიროებებზე, რომლებიც მუნიციპალიტეტებში არსებობს.

შეხვედრაზე, რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გაიმართა, მხარეებმა დეცენტრალიზაციის მნიშვნელობაზეც ისაუბრეს და აღნიშნული რეფორმის როგორც დაგეგმვის, ასევე მისი განხორციელების პროცესში ორგანიზაციის როლზე იმსჯელეს.

შეხვედრის მონაწილეებმა იმედი გამოთქვეს, რომ ერთობლივი მუშაობითა და მეტი კოორდინაციით შესაძლებელი გახდება თვითმმართველ ორგანოთა ხარისხის ამაღლება და ადგილებზე უფრო ეფექტიანი მმართველობის დამკვიდრება.

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია ანალოგიურ შეხვედრებს ქვეყნის მასშტაბით ყველა მუნიციპალიტეტში გამართავს.



# დავები და ერთსულოვანი მხარდაჭერები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე



**ალიონი.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 7 მარტის სხდომაზე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია საკითხმა ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ‘‘.

დეპუტატების ერთმა ნაწილმა დასვა ლეგიტიმური კითხვა: ნორმატიული ფასის შემცირება ხომ არ მოახდენდა გავლენას ბიუჯეტის შემოსავლებზე. მეორე ნაწილის განმარტებით, ეს გარდაუვალი პროცესია, თუმცა, შემდეგ შესაბამის დადგენილებაში ცვლილების შეტანა პრობლემას არ წარმოადგენს. ხმათა უმრავლესობით დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს დადგენილების მიღებას.

კამათი მოჰყვა ასევე საკითხს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2017 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ. კერძოდ, გამოუსადეგარი ამწე კალათების შეძენა ბიუჯეტის უმიზნო ხარჯვად შეაფასეს ოპოზიციონერმა დეპუტატებმა.

სხდომაზე მიიღეს განკარგულებები სოფელ გურიანთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე №6 ქუჩისათვის ,,თამაზ მალაზონიას‘‘ სახელის მინიჭების შესახებ; დაბა ლაითურის ადამინსტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის ,,ჯემალ დუმბაძის‘‘ სახელის მინიჭების შესახებ; სოფელ ლიხაურის ადმისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის ,,ექვთიმე თაყაიშვილის‘‘ სახელის მინიჭების შესახებ; სოფელ ნატანების ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის ,,შეკვეთილის გზატკეცილის‘‘ სახელის მინიჭების შესახებ; სოფელ ჯუმათის ადმინისტარაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის ,,მონასტრის ქუჩის‘‘ სახელის მინიჭების შესახებ; დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ზღვის სანაპიროზე არსებული გასასვლელისათვის ,,ნიკოლოზ ქარცივაძის‘‘ სახელის მინიჭების თაობაზე – გარდაცვალების ვადის შეზღუდვიდან გამომდინარე, გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ.

მიიღეს დადგენილებები ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზოგადოებრივი დარბაზის დებულების დამტკიცების შესახებ‘‘ და ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

ძალადაკარგულად გამოაცხადეს ,,ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ‘‘ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 აგვისტოს №37 დადგენილება.

მიიღეს განკარგულება ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში ან პლაჟზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოლიისას გასატარებელი ღონისძიებების შესახებ საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტაციული წარმოების დასაწყებად.

მხარი დაუჭირეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ცხოველების – ძაღლის და კატის ყოლის დამტკიცების შესახებ‘‘ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე საკრებულოს განკარგულების მიღებას.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 1%-ის მიერ პეტიციის სახით ინიცირებული ,,მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის‘‘ შემუშავებისა და შესწავლის მიზნით, შექმნეს საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფი და დაამტკიცეს ამ ჯგუფის შემადგენლობა.

მიიღეს განკარგულება ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის შემუშავების სამუშაოთა ორგანიზების მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ‘‘.

## მაჟორიტარები

# ეროდი გორდელაძე - სოფელი ბახვი



ეროდი გორდელაძე მეორედ გახდა სოფელ ბახვის მაჟორიტარი დეპუტატი. ის საკრებულოში სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას ხელმძღვანელობს.

,,რეგლამენტით დადგენილი წესით ვახორციელებ ჩემს უფლებამოსილებას. ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს დაყენებული ადგილობრივი მნიშვნელობის არაერთი საკითხის გადაწყვეტა შევძელით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საშუალებით, განსაზღვრული პრიორიტეტების გათვალისწინებით.

ბახველები ახალი, სამ ჯგუფზე გათვლილ საბავშო ბაღით სარგებლობენ, რომელიც შარშან აშენდა. ასფალტირებული გზა დაიგო ბახვის ცენტრიდან მშვიდობაურის გავლით ასკანის გადასახვევამდე. მდ. ბახვის წყალზე მოეწყო გაბიონები, დაგრეიდერდა და მოიხრეშა მშვიდობაურის ცენტრიდან მაღალი ეწერის ჩაის ფაბრიკამდე მიმავალი საავტომობილო გზა, ჩაისვა მილხიდები, გაიწმინდა სანიაღვრე არხები. შეკეთდა შიდა გზები, სხვადასხვა უბნებში ბეტონის საფარი მოეწყო რთულ მონაკვეთებზე. ასევე რეაბილიტირდა საყანე ფართობებთან მისასვლელი საავტომობილო გზები. მდინარე წყალწითელაზე აიგო ახალი ხიდი; მოსახლეობის ტექნიკური წყლით უზრუნველყოფის მიზნით შეძენილ და დამონტაჟებული იქნა მილები, დასრულდა გაზიფიკაცია.

ერთ-ერთი მთავარი სასმელი წყლით მომარაგებაა, რომლის მოგვარების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ შედგენილი იქნა პროექტი. გვაქვს დაფინანსების მოპოვების იმედი. პროექტის განხორციელებით სასმელი წყლით უზრუნველყოფილი იქნება არა მარტო ბახვის, არამედ ფამფალეთის, ვაკიჯვრისა და ცხემლისხიდის მოსახლეობა.

2019-20121 წლებში დაგეგმილია საავტომობილო გზის რეაბილიტაცია მშვიდობაური-მთისპირი, ბახვი-ფამფალეთი, ბაღდადი-ბახვი და დვაბზუ-ბახვის მონაკვეთებზე. ბეტონის საფარის მოწყობას ვგეგმავთ სასაფლაობთან მისასვლელ აღმართებზე. უნდა აღდგეს და შეიღებოს გიგო შარაშიძის ბალი და ქვ. ბახვში ომის მონაწილეთა სკვერი. უნდა დასრულდეს გარე განათების მოწყობა. კაპიტალური რემონტის ჩატარებას საჭიროებს საჯარო სკოლები და ამბულატორია. აქცენტს ძირითადად ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ვაკეთებ, თუმცა ჩვენ ყოველ წლიურად ვახერხებდით და მომავალშიც განვაგრძობთ სხვადასხვა სოციალური პროგრამის მიხედვით თანასოფლელების საჭიროებისამებრ დახმარებას, სტიქიით დაზარალებულთა პრობლემების მოგვარებას‘‘.

# ვალოდია ბერიძე - დაბა ნარუჯა



ვალოდია ბერიძემ 2017 წლის ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში 716 (61.04%) ხმით გაიმარჯვა და მაჟორიტარი დეპუატობის მანდატი კიდევ ერთხელ მიიღო.

,, მსურს ვისაუბრო უკვე გაკეთებულ საქმეებსა და დაბა ნარუჯაში განსახორციელებელ პროექტებზე, რომლებიც ძირითადად ინფრასტრუქტურას ეხება. დაბაში წყლის სისტემა მოწესრიგდა, ეტაპობრივად გარემონტდა ბაგა-ბაღის შენობა, რომელიც ოთხ ჯგუფზეა გათვლილი; მოეწყო სამი მინი სტადიონი; გადაიხურა 38 საერთო საცხოვრებლის კორპუსი; შიდა სასოფლო გზების რთულ მონაკვეთებზე დაიგო ბეტონის საფარი. აღნიშნული პროექტები დაბა ნარუჯაში წლების განმავლობაში ხორციელდებოდა, გასაკეთებელი კიდევ ბევრი დარჩა.

ყველაზე მნიშვნელოვანი, ვფიქრობ, ქალაქ ოზურგეთთან დამაკავშირებელი ცენტრალური გზის რეაბილიტაციაა. როგორც ჩემთვის არის ცნობილი, დაპროექტების ხარჯები უკვე ბიუჯეტში განსაზღვრულია. გზასთან ერთად, მთავარ გადასაჭრელ პრობლემად წყლის სათაო ნაგებობაზე დამბის გაკეთება მიმაჩნია, ასე თავიდან ავიცილებთ დაბის უწყლოდ დარჩენას. ბრძოლა აზიურ ფაროსანასთან ძალიან აქტუალურია, მალე დავიწყებთ შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, რათა დროულად მოვახერხოთ ნარგავების გადარჩენა მავნებლისგან. მოსაწესრიგებელია შიდა გზებიც და დაბის ცენტრი. მოგეხსენებათ, დაბა ნარუჯაში დაიშალა კუტურის სახლი, მოსახლეობის თხოვნაა ამ ადგილზე მოეწყოს პარკი და სტადიონი.

სწორედ ნარუჯელების სურვილების, პრობლემების, მიზნების გახმოვანება და გვერდით დგომაა ჩემი საქმიანობის მთავარი პრინციპი. გჯეროდეთ, ნარუჯელებო, რომ მთელ ჩემს ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას მოვახმარ ნარუჯისა და ნარუჯელების პრობლემების მოგვარებას.

# გურიელები



გურიელებს ადრე ვარდანისძეთა სახლი სვამდა. „ვარდანის ძე“, როგორც ნიკო ბერძენიშვილმა შენიშნა, „დადიანის“ სახლის „ფეოდალების“ განაყოფია.

ვარდანიძეთა უძველერს წარმომადგენლად უნდა ჩაითვალოს ერისთავთ–ერისთავი ვარდან ვარდანისძე, რომელსაც ჯუმათის წმინდა გიორგის ხატის ასომთავრული წარწერა იხსენიებს.

ჯუმათის წმინდა გიორგი ქართული ჭედური ხელოვნების ბრწყინვალე ძეგლი იყო. იგი პირველად აღწერა და განიხილა დიმიტრი ბაქრაძემ 1873 წელს, ხოლო ფოტოფიქსაცია მოახდინა დიმიტრი ერმაკოვმა 1889წელს.

ამ ძეგლმა მოხიბლა გამოჩენილი ხელოვნებათმცოდნე ნ. კონდაკოვი. ხატი დაიკარგა 1921 წლის სექტემბერში, მონასტრის გაძარცვის დროს. (აღნიშნულის თაობაზე მოხსენდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის საისტორიო გეოგრაფიის განყოფილებას 1962 წლის 19 თებერვალს; ნ. ბერძენიშვილი, ერთი ისტორიულ–გეოგრაფიული მოვლენის გამო, „საქართველოს გეოგრაფიის კრებულში“ (თბილისი, 1960 წ., გვ. 40)

ვარდანიძეთა საგვარეულოს ხვდა პატივი მეათე საუკუნეში გამხდარიყო გურიის ერისთავთ ერისთავი, რომლის პირველი წარმომადგენელიც ვარდან ვარდანიძე გახლდათ, რომელიც ჯუმათის წმინდა გიორგის ხატის ასომთავრულ წარწერაში იხსენიება.

ჯუმათის წმინდა გიორგი ქართული ჭედური ხელოვნების ბრწყინვალე ძეგლი იყო.

ამჟამად გადარჩენილია მისი მხოლოდ ორი მცირე ნატეხი, რომელიც შემდგომში სანკტ–პეტერბურგის ერმიტაჟში მოხვდა.

მ. კონდაკოვი ჯუმათის წმინდა გიორგის მონასტერს მეთერთმეტე– მეთხუთმეტე საუკუნის ძეგლად მიიჩნევდა.

შ. ამირანაშვილი თავის ერთ–ერთ ადრინდელ ნაშრომში ეჭვს გამოთქვამდა, ამ ხატის მ. კონდაკოვისეული დათარიღების მიმართ და საკითხის შესწავლის აუცილებლობაზე მიუთითებდა. ეს მისია გ. ჩუბინიშვილმა განახორციელა.

აღნიშნული ძეგლის მეცნიერული შესწავლის საფუძველზე სახელოვანმა ხელოვნებათმცოდნემ შემდგომში დაავიწროვა მისი დიდი წინამორბედის მიერ თავის დროზე მეტად გონებამახვილურად მოცემული ქრონოლოგიური ჩარჩოები და და იგი მეათე-მეთერმეტე საუკუნის მიჯნით დაათარიღა. მხატვრულ–ისტორიული ანალიზით მიღებულ ამ განსაზღვრებას ადასტურებს ხატის წარწერის პალეოგრაფიული თავისებურებანი. აღნიშნული წარწერა შესრულებულია ულამაზესი ხელით. ყოველი ასო დიდი ხელოვნებით არის გამოყვანილი. ასოთა კიდურები და ზოგი ნაწილები მცენარეული ორნამენტებითაა გაფორმებული.

ეს წარწერა დაწერილობის თვალსაზრისით ანალოგს პოულობს მეთერთმეტე საუკუნისავე ხიდისთავის (ჩოხატაურის რაიონის) წმინდა გიორგის ხატის წარწერაში და სხვ.

ჯუმათის ხატზე წარწერა განლაგებულია მარცხენა მხარეზე, ჩარჩოებასა და პორტრეტს შორის, ვიწრო ზოლზე, თითქმის მთელ სიგრძეზე სტრიქონებში ორიდან ოთხ ასომდეა. დ. ერმაკოვის ფოტოზე, რომელიც კონდაკოვსაც აქვს გამოქვეყნებული და გ.. ჩუბინიშვილსაც, ზოგიერთი ასო გადასულიც კი ჩანს. აღნიშნული წარწერა პირველად გადმოიღო დიმიტრი ბაქრაძემ 1873 წელს., ხოლო დაბეჭდა 1878 წელს. უკანასკნელად კი ეს წარწერა ვარიანტული კითხვაობით დაბეჭდა გ. ჩუბინიშვილმა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით ,წარწერა ქარაგმების გახსნის შემდეგ ასეთ სახეს მიიღებს: „ახოვანო მხედარო ქრისტესაო, შემწე ეყავ მონასა შენსა ერისთავთა ერისთავსა ვარდან ვარდანის ძესა ,ამინ“.

ეს ერისთავთ ერისთავი ამ ხატის ქტიტორია.

გ. ჩუბინიშვილს ვარდანის ძე აქ მამის სახელად აქვს გაგებული. ჩვენი აზრით , მამის სახელიდან გამომდინარე, ვარდანიძეობა ამ დროისთვის საკმაოდ დაშორებულად გვეჩვენება თავის საწყის (მამის სახელთან) და შეუძლებელი არ ჩანს მისი გვარსახელად მიჩნევა.

მართალია, ზემოხსენებულ წარწერაში არ არის მითითებული ვარდანიძის ვინაობა, მაგრამ როგორც გვიანდელი ცნობებით დასტურდება, სრული უეჭველობით იგი სვანთა ერისთავია და ჩრდილო–დასავლეთ გურიაც, სადაც მდებარეობს ჯუმათის ტაძარი, მის საგამგებლობაში ერთიანდება.

1073 წელს გიორგი მეორეს განუდგა სამი უძლიერესი ერისთავთ–ერისთავი : მამია ქუაბულისძე, ივანე ლიპარტის ძე და ვარდან სვანთა ერისთავი და აუშალეს ქვეყანა; ამ უკანასკნელმა, კერძოდ „გაადგინა სუანი თვისა მოხარკულნი, დაარბიეს და ამისწყვდეს სავგრო“.

მკაცრად დასჯის ნაცვლად გიორგი მეფემ (ეტყობა, საამისო ძალების უქონელმა) გამდგარ ერისთავებს დიდი წყალობა მიაგო, მათ შორის ვარდანს „ასკალანაც“ უბოძა.

მისი მდებარეობა, ჯერჯერობით, ჩვენთვის უცნობია.

ამის შემდეგ ვარდანის ძენი თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში არ ჩანან საისტორიო წყაროებში... და აი, მე-12 საუკუნის 70–იანი წლების მეორე ნახევარში ჩნდება ივანე ვარდანის ძე.

80–იანი წლების ამბებში თანდათან მრავლდებიან ვარდანიძენი: ერთი მათგანი , სახელით კახაბერი, ყუთლუ არსლანის გამოსვლის შემდეგ, მეჭურჭლეთუხუცესად გვევლინება; მეორეს, ბარამს, სუანთა ერისთავობა უპყრია. მესამე,— ივანე, გაგის პატრონია. პავლე ინგოროყვა გურიას ამ დროს სვანეთის ერისთავთ–ერისთავის საგამგეო ქვეყნად მიიჩნევს.

საამისოდ აუცილებელი საბუთები ავტორს არ მოაქვს., ხოლო არსებულ ცნობებზე დაკვირვება ამას არ ადასტურებს. ასე მაგალითად, თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებიდან კარგად ჩანს, რომ როცა ბარამი სვანეთს განაგებს (80–იან წლებში), იმ დროს ჩუხჩარეხობა მარუშიანს აქვს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ეს მარუშიანი კარგა ხანია დაკავშირებულია ლეხოურის ღვთისმშობლის ეკლესიის წმინდა იაკობის ხატის წარწერაში დადასტურებულ მარუშიან ვარდანისძესთან.

კონდაკოვის დაკვირვებით, ჭედური ხელოვნების ხელი ამ ძეგლში ჯუმათურია და ნაწარმოებიც ჯუმათის სკოლის უნდა იყოს. ეს ძეგლი დღეს დაღუპულია. კონდაკოვს გამოქვეყნებული აქვს მისი მხოლოდ წინა მხარის ფოტო. წმინდანის გამოსახულება აქ ძალიან დაზიანებულია. შემორჩენილია მხოლოდ თავსახურავის მცირე ნაშთი და ტანსაცმლის ნაწილები (კვადრატებში ჩასმული ჯვრების სახით).

ფოტოფიქსაციის ჟამს (გადაუღია დ. ერმაკოვს), გარდა ქვემო ბორტისა, ყველა ყოფილა მოღწეული. ბორტები დაფარულია ლამაზი მცენარეული ორნამენტით (გავრცელებულია მეთერთმეტე–მეცამეტე საუკუნეებში). რა იყო ქვემო ბორტზე, არავინ უწყის. ამ ბორტზე ჩვეულებრივ ქტიტორთა წარწერებს ათავსებდნენ. შესაძლოა, აქაც ასე იყო. თუ როგორი იყო მისი ზურგი, არ ვიცით. ამაზე არც კონდაკოვი ამბობს რაიმეს და არც მისი ფოტო დაუბეჭდავთ, რომ მისი მიხედვით მაინც გვქონოდა საშუალება გაგვეთვალისწინებინა მისი რაობა.

ჩვენთვის ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს., რადგან ხატის ზურგზეა სწორედ ჩვენთის საინტერესო ცნობების შემცველი ასომთავრული წარწერა, რომლის განსაზღვრაში ის დიდად დაგვეხმარებოდა.(მისი პალეოგრაფიული შესწავლა). კონდაკოვი ლეხოურის წმინდა იაკობის ხატს მეთორმეტე–მეცამეტე საუკუნეებით აღარიღებდა..სამწუხაროდ, შემდეგ ამ თარიღის დაზუსტება ძეგლის მხატვრულ–ისტორიული ანალიზის გზით არავის უცდია. ხსენებულ თარიღს მხოლოდ ისტორიკოსები ავიწროვებდნენ (მე–12 საუკუნის მიწურულით). მათგან პირველი იყო დიმიტრი ბაქრაძე. მისი მთავარი საბუთი იყო წმინდა იაკობის ხატის წარწერის „ვარდანისძის“ და თამარის „ჩუხჩარეხის“ სახელით იგივეობა (მარუშიანი). შემდგომ იგი რამდენიმე მკვლევარმა გაიმეორა (ალ. ხახანაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, პავლე ინგოროყვა), მაგრამ არც ერთ მათგანს რაიმე ახალი საბუთი ან დაკვირვება არ მოუცია.

ამ ავტორებს, მათ შორის დიმიტრი ბაქრაძესა და ექვთიმე თაყაიშვილს, თავისი დროის გამოჩენილ დამწერლობათმცოდნეებს, უეჭველად შეეძლოთ ამ წარწერის პალეოგრაფიული ანალიზით გარკვეული საბუთები მოეპოვებინათ ზემოხსენებული მოსაზრების გასამაგრებლად, მაგრამ ეტყობა, მის სპეციალურად შესასწავლად ვერ მოიცალეს.

დღეს სიამოვნებით მოჰკიდებდა ხელს ამ საქმეს მკვლევარი, მაგრამ აღარც ძეგლია სახეზე და არც მისი წარწერის ფოტო შემონახულა. ასეთ ვითარებაში კი საკითხის სათანადო მეცნიერული განხილვა შეუძლებელია.

როგორც ჩანს, მარუშიან ვარდანისძე და მისი მეუღლე ხათუთა (სიმძივრის ასული) წმინდა იაკობის ხატის შემკობნი არიან. არავინ უწყის, აქ პირველი შემკობა იგულისხმება თუ რომელიმე სხვა. პირველობას აქ თითქმის აბათილებს წარწერის ხატის ზურგზე განლაგება. ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივ ავერსზე თავსდებოდა წარწერები. შესაძლოა, აქაც ასე იყო. კერძოდ, ქვემო ბორტზე, მაგრამ იმ დროს, როცა მას მეცნიერთა ყურადღება მიექცა, იგი უკვე აღარ არსებობდა.

მარუშიან ხათუთას „ძეც“ ჰყოლიათ.; წარწერას რომ მისი სახელი შემოენახა, უთუოდ ზოგ რაიმეს გაგვათვალისწინებინებდა .

სხვა ცნობები არ მოგვეპოვება. ასეთ ვითარებაში დიმიტრი ბაქრაძის მოსაზრება კვლავ რჩება შესაძლებელი ჰიპოთეზის მდგომარეობაში.

ამის შემდეგ წინ დგება ანონიმი გურიელი. მას იხსენიებს ქართველი ჟამთააღმწერელი მეცამეტე საუკუნის 40–იანი წლების დამდეგის ამბებში. აქედან ვტყობილობთ, რომ ისიც (გურიელი) ყოფილა წევრი ქუთაისიდან თბილისისაკენ წამოსული რუსუდან დედოფლის ამალისა.

სხვა ცნობა არ გაგვაჩნია. ამის გამო არც მის ვინაობაზე შეიძლება რაიმე ითქვას და არც სხვა რაიმეზე. ცხადია მხოლოდ ერთი: ჟამთაღმწერის უსახელო გურიელი მოღვაწეობდა მეცამეტე საუკუნის 40–იან წლებში.

ანონიმის შემდეგ ჩნდება უკვე სახელიანი გურიელი. ესაა სვიმონი.

ერთადერთი ძეგლი, რომელიც ამ გურიელის არსებობას გვაცნობს, ესაა ზარზმის ტაძრის წარწერა.

წარწერა ტაძრის ჩრდილო-დასავლეთის გუმბათქვეშა ბურჯის სამხრეთის პირის ქვემო ნაწილშია, ამავე პიროვნების გამოსახულების ქვეშ.

ეს ეპიგრაფიკული ძეგლი გადმოიღო და გამოაქვეყნა ექვთიმე თაყაიშვილმა 1905 წელს.

როდინდელია ეს წარწერა? ამ საკითხის გარკვევას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასში მოხსენებული პიროვნებების ცხოვრების დროის გასათვალისწინებლად, რადგანაც აქ ქორონიკონი არ ზის და ამ პიროვნებაზე სხვა არავითარი ცნობაც არ მოგვეპოვება, ქრონოლოგიის საკითხის ძირითად საყრდენად გვევლინება წარწერის პალეოგრაფიული შესწავლა და ფრესკის მხატვრულ-ისტორიული ანალიზი.

ჯერ პირველის შესახებ.

წარწერა მრგვლოვანი ნუსხურით არის შესრულებული. ასოთა მოხაზულობა (წაგრძელებული, ერთმანეთში შეჭრილი)და პროპორციები (დიდი, პატარა), წერის მანერა(ხლართული), სიზუსტისა და სიმკაცრის უქონლობა და სხვა თავისებურებანი, ანალოგიებს პოულობს ამავე ტაძრის სხვა წარწერებში. მათი უმრავლესობა კი გაკეთებულია მე-13 მე-14 საუკუნეების მიჯნაზე. ამავე დროით უნდა დათარიღდეს გურიელის წარწერაც.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

**იური სიხარულიძე**
**პროფესორი**

# ბოლშევიკური რუსეთის სატირა პირველი რესპუბლიკის იუმორისტულ პრესაში

ახლახან კონკურსში თემაზე „თოვდა და თბილისს ეზურა თალხი“, ქ. ოზურგეთის №3 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლის **თორნიკე ბოლქვაძის** ნაშრომს მეორე ადგილი მიეკუთვნა. გთავაზობთ ახალგაზრდა მკვლევარის აღნიშნულ ნაშრომს შემოკლებით.




ყველასათვის ცნობილია, რომ 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაეცა და რუსეთის საოკუპაციო რეჟიმი დამყარდა. თბილისის თავზე წითელი დროშა აფრიალეს. თუმცა, თავისუფლების მოყვარე ერს წინააღმდეგობა არ შეუწყვეტია და კომუნისტური ტირანიის მიუხედავად, შეფარვით გამოხატავდა წინააღმდეგობას რუსული აგრესიის წინააღმდეგ. ამის ერთ -ერთი მაგალითია ყოველკვირეული ჟურნალი „ეშმაკის მათრახი.“

„ეშმაკის მათრახი“ - ეს იყო ქართული ყოველკვირეული იუმორისტული ჟურნალი. გამოდიოდა თბილისში 1907 – 1908 წლებში, 1915 – 1921 წლებში. სხვადასხვა დროს რედაქტორ გამომცემლები იყვნენ თ. ბოლქვაძე და ნ. კალანდაძე.

ჟურნალში იბეჭდებოდა ორიგინალურ ნაწარმოებებთან ერთად თარგმანებიც.

„„ეშმაკის მათრახის“ დამაარსებელი, რედაქტორ - გამომცემელი ჩემი დიდი ბაბუა, ოზურგეთის მკვიდრი, ქართველთა შორის წერა - კითხვის გამავრცელებელი, საზოგადოების ნამდვილი წევრი - თეოფილე ბოლქვაძეა.

პატრიოტი, ქველმოქმედი, რომელსაც 3 საჯარო სკოლის ასაშენებლად საკუთრებაში არსებული მიწა უსასყიდლოდ გადაუცია. თავისი დიდი ხნის არსებობის მანძილზე ჟუნალისაგან ბევრი მათრახი იგემა ხელისუფლებამ და თვით „ეშმაკის მათრახსაც.”

არ ასცდენია გუბერნატორისა თუ ცენზურის როზგი. ასევე, სასჯელი დაედო თეოფილე ბოლქვაძესაც (ან ჯარიმა ,ან ციხე). ხოლო 1921 წლის სისხლიანი თებერვლის დღეებში, თავის მწარე მათრახს იქნევდა რუსეთის ბოლშევიკური ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ.

საგაზეთო მასალის დიდ ნაწილს შეადგენს პოლიტიკური შარჟები და კომიქსები, ნაწყვეტები. ფელეტონებიდან და ეპიგრამებიდან ყოველ ნომერში იგრძნობა რუსეთის დაუნდობელი კრიტიკა და უნდობლობა რუსეთის მიმართ.

კრიტიკაში გაშარჟებულია დასავლეთ ევროპის სრული გულგრილობა იმ ქვეყნისადმი, რომელმაც ბოლშევიკური დროშა ააფრიალა.

სამწუხაროდ, ჩანს, რომ „ეშმაკის მათრახის” გამოცემა 1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის გამარჯვების შემდეგ შეწყდა. ალბათ „სუსხიანი რეჟიმის ” მეთოხე ხელისუფლებას არ ეშინოდა „სუსხიანი “ კრიტიკის და როგორც ანტი ბოლშევიკური განწყობის მქონე იუმორისტულ ალმანახს გამოცემა შეუწყვიტეს.

ჩემთვის არ არის ცნობილი ეპიგრამები



და პამფლეტები, ნაკვესები, ჟურნალის ყველა ნომერი ეროვნული ბიბლიოთეკის კუთვნილებაა...

იქნებ, ოდესმე წავიკითხო, მთავარია, რომ ამ „ეშმაკის მათრახის” გამომცემელი იყო ჩემი დიდი ბაბუა, საამაყო ადამიანი - თეოფილე ბოლქვაძე, რომელიც ცალ ხელში „კარანდაშით”, მეორეში „მათრახით” დაუნდობელ ბრძოლას უცხადებდა ბოლშევიკურ რუსეთს.

# გულახდილი საუბარი კაცთან, რომელსაც „პირიდან თაფლი სდის“

***„ღმერთმა ადამიანს ყველაზე დიდი განძი სიცოცხლე აჩუქა, მე ბედნიერი ვარ, რომ ძირძველი გურული და თანაც ასკანელი ვარ“, – ასე დაიწყო ჩემთან საუბარი მიხეილ შავიშვილის სახელობის ვოკალური ანსამბლის „შვიდკაცას“ სოლისტ-მომღერალმა, „ნიჭიერის“ ფინალისტმა ლევან ნინიძემ, რომელიც გაზაფხულის ამ მშვენიერ თვეშია დაბადებული და, მიუხედავად ასაკის წამოკარვისა, ჩვენში რომ იტყვიან, „ბიჭივით გამოიყურება“.***



**— ლევან შენი ახალგაზრდული იერის საიდუმლო გამანდე.**

— ჯიში, ძამიკო, ჯიში, შრომა, სიყვარული და სიმღერა. თუმცა, შენც ჩემი ჯიშის არ ხარ? (ლევანის ბებია ალექსანდრა და ჩემი ბებია სონა დები იყვნენ. ბ. ო.). ცხონებულმა მამაჩემმა გიორგიმ, რომელსაც ძალიან უყვარდა ტაშ-ფანდურა და სტუმარი, ამ ტრადიციებზე გაგვზარდა და დღემდე ასე მოვდივართ უფლის წყალობით. ჩემი ძმა თედო და მე ბევრჯერ გამოვსულვართ კონცერტებზე ფართო აუდიტორიის წინაშე. თედო არაჩვეულებრივი მგზნებარებით კითხულობდა ვაჟას, გალაკტიონის და სხვა ქართველი პოეტების ლექსებს, მე კი ვმღეროდი. თედო წლების მანძილზე იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრი, გენერალური პროკურორი, არის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მე დავამთავრე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და დღემდე ვარ წარმატებული მეთაფლე-მეფუტკრე (იცინის).

**— სიმღერის ნიჭი საიდან მოდის?**

— ჩემი ნათესაობა – სიამაშვილები, მახარაძეები ყველა მღერის; ჩემი ბიძაშვილი ზურიკო ერქომაიშვილიც „შვიდკაცას“ სოლისტი იყო; ბიძაჩემი, საქართველოს სახალხო არტისტი ავთო მახარაძე შესანიშნავი ტენორია, მღერიან ჩემი ბიჭები – ექიმი გივი და ენერგეტიკოსი ილია.

**— „შვიდკაცაში“ როგორ მოხვდი?**

— 1978 წელს ცხონებულმა მიშა შავიშვილმა, ყოველგვარი ქასტინგისა და შემოწმების გარეშე, ჩამრიცხა „შვიდკაცას“ ძირითად შემადგენლობაში. მე მისი დიდი მადლობელი ვარ, ადამიანმა არასოდეს არ უნდა დაკარგოს მადლიერების გრძნობა, ბატონი მიშას დამსახურებაა, რომ სიმღერებით მოვიარე მთელი ევროპა და ნახევარი მსოფლიო, უცხოელებს გავაცანით მადლიანი ქართული სიმღერები და გურული ფოლკლორი. უკვე 40 წელია, ანსამბლ „შვიდკაცას“ სოლისტი ვარ. ანსამბლი ჩემი მეორე ოჯახია, მისი წევრებიდან, ანუ ჩემი მეგობრებიდან იმდენი სითბო და სიყვარული მივიღე, რომ მთელი ცხოვრება მათ ვალში ვარ და მათდამი სიყვარული იქაც თან წამყვება (იცინის). მაგრამ დიდი ტკივილია ჩემთვის, რომ იმდროინდელი „შვიდკაცას“ მომღერლებიდან ბევრი ცოცხალი აღარ დარჩა, გულისტკივილით მინდა მოვიგონო: თვით ბატონი მიხეილ შავიშვილი, ჰამლეტ დოლიძე, თეზიკო ქილიფთარი, ამირან ბაბილოძე, ზაურ ჯანიაშვილი, თანდულა ნაცვალაძე, ზურაბ გადახაბაძე, ზაურ ბოლქვაძე, გელა ცელაძე, სერგო ქარჩილაძე, ილია ჯინჭარაძე და სულ ახლახან გარდაცვლილი, შეუდარებელი მოკრიმანჭულე რეზო მახარაძე. ისინი მხოლოდ ჩემი კი არა, ყველას ტკივილია, ვისაც ქართული სიმღერა უყვარს.

ცხოვრება გრძელდება და არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩემი პარტნიორები, ჩემი ძმაკაცები: ტრისტან სიხარულიძე, ამირან გოლიაძე, ალიკა ბურჭულაძე, გელა ლომჯარია, თენგიზ გოლიაძე, კობა მეფარიშვილი, ილუშა ინწკირველი, დათო ქავჟარაძე, ვალერი კალანდაძე, ნიკო გოგოტიშვილი. ეს ის ხალხია, ვისთანაც სულ ერთად ვარ ლხინსა და ჭირში.

**— რას გაიხსენებ უცხოური ტურნედან?**

— აღარ მახსოვს, რომელი წელი იყო, მგონი 1985, დედაჩემმა „პაესტკაში“ ღორის ჯორჯლის კუპატები და კიტრის მწნილი გამატანა, დაგვაბინავეს ბელგიაში სასტუმროს მვირფას ნომერში და მოგვართვეს ნამცხვარი და ყავა, თანდულა ნაცვალაძემ პროტესტი გამოთქვა: „როის იყო ყავით და ნამცხვრით ნამგზავრი კაცი ნაყრდებოდაო“. ამოვიღე დედაჩემის გამოტანებული კუპატები და სასტუმროს სამზარეულოში ავაშიშხინეთ, ისეთი სუნი დადგა, მთელი სასტუმრო გვეუბნებოდა: თუ ისე გემრიელად მღერით, როგორი საჭმელიც გაქვთ, ყოჩაღ თქვენო (იცინის).

**— მახსოვს, ჩემს ბავშვობაში „შვიდკაცას“ ყოველი გამოსვლა იყო ზეიმი, მაყურებელი სპეციალურად დადიოდა თეატრში, რომ ენახათ თქვენი კონცერტები. დღეს იმ დონის მაყურებელს ვერ ვხედავ. რა ხდება?**

— კომპიუტერიზაციამ, ინტერნეტმა და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო პირობებმა მოიტანა ის, რომ არა მხოლოდ ჩვენთან არამედ თეატრსა და სტადიონზეც ძველებურად აღარ დადის ხალხი. თუმცა, ოზურგეთის თეატრს, რაც სამხატვრო ხელმძღვანელად ბატონი ვასო ჩიგოგიძე დაუნიშნეს, მაყურებელი შემოუბრუნდა. ასეა ჩვენთანაც, გვყავს შესანიშნავი ხელმძღვანელები, ბატონები ტრისტან სიხარულიძე და ამირან გოლიაძე, გაიზარდა რეპერტუარი, ვმღერით მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის სიმღერებს.

ერთი ამბავი უნდა გითხრა მაყურებელზე: მეორე მსოფლიო ომის დროს, ალყაშემორტყმული დამშეული და გათოშილი ლენინგრადელები, მათზე გაცემულ 300 გრამ პურს ყიდდნენ, რომ შეეძინათ ბილეთები, დანგრეულ კლუბებში ენახათ და მოესმინათ მშიერი ხალხით შეკოწიწებული სიმფონიური ორკესტრების კონცერტები, მოესმინათ ბეთჰოვენი, ვაგნერი, ბენდელა, შტრაუსი. აი, ვინ იყვნენ ნამდვილი მაყურებლები. ებრძოდნენ გერმანიას და გერმანელი კომპოზიტორების ნაწარმოებებს აღიქვამდნენ, როგორც ღვთის ბოძებულ საჩუქარს. დღეს კი გამოვა ვიღაც ვიგინდარა და გეტყვის „რა მეკონცერტება, ძამა, შიმშილით კუჭი მიხმებაო“. თუმცა, ვერ გაამტყუნებ, ყველას თავისი აზრი აქვს.

**— რა მოგცათ „ნიჭიერმა“?**

— ჩემთვის „ნიჭიერის“ ფინალისტის სტატუსი, უპირველეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ გურია, ჩემი ასკანა წარმოვადგინე ფილარმონიის სცენაზე, რაც ჩემთვის საოცრად საამაყო და საპასუხისმგებლოა. ძალიან მიხარია, რომ „ნიჭიერის“ ფინალისტი ვიყავი.

**— როცა გიყურებდი ტელეეკრანზე, ფილარმონიის სცენაზე ცოტა დაბნეულივით ჩანდი.**

— სად არ მიმღერია, მსოფლიოს გამოჩენილ სცენებსა თუ ესტრადებზე, მაგრამ ფილარმონიაში დაბნეულივით კი არა, მთლად დაბნეული ვიყავი, არადა, არც პროჟექტორებისა და არც მაყურებლის შიში საერთოდ არ მაქვს. იქ რა დამემართა, არ ვიცი, მაგრამ საქართველოს პირველი ლედის მაკა ჩიჩუას ჩახუტება-გამხნევებამ ყველა შიში მომიხსნა, დიდი მადლობა ამისათვის ქალბატონ მაკას.

**— „ნიჭიერმა“ პოპულარობა მოგიტანა?**

— ძალიან პოპულარული გავხდი, საამაყო და სასიხარულოა, რომ სრულიად უცნობი ქუჩაში გაგაჩერებს, მოგიკითხავს და დაგლოცავს. არ მეგონა თუ ასეთი ცნობადი გავხდებოდი.

**— შენი ხვალინდელი დღე.**

— ჩემი ხვალინდელი დღე ჩემი შვილები და შვილიშვილებია. მეამაყება, რომ ძალიან პატიოსანი ოჯახი მაქვს, სადაც სტუმარი უყვართ და ყველას მხარში უდგანან.

**— გეგმები?**

— გვინდა ანსამბლ „შვიდკაცას“ კონცერტი გავმართოთ, სადაც მოვიგონებთ იმქვეყნად წასულთ და მოვეფერებით ჩვენს საყვარელ მაყურებელს. მიდის ინტენსიური რეპეტიციები, ალბათ, ამ შემოდგომაზე გვექნება ზეიმი.

**— დიდი მადლობა და ბოლოს, ჩემო ლევან, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მინდა მოგეფერო, მოგილოცო დაბადების დღე. ცხოვრების გზა, რომელიც დღემდე გაგივლია, სიკეთით, შრომითა და მოყვასისადმი სიყვარულით არის გამსჭვალული. სხვანაირად არც შეიძლება იცხოვროს თალიკო მახარაძის და გიორგი ნინიძის შვილმა.**

**მიხარია, რომ შენი ნიჭიერებით განსაკუთრებული ამაგი დასდე ჩვენს გურიას და გურულებს, რისთვისაც ულრმეს მადლობას გიძღვნის ხელოვანი ხალხი. კიდევ ერთხელ გილოცავ! იყავი მხნედ, იმღერე ბევრი, იძმაკაცე შენს მეგობარ ფუტკრებთან. ღმერთმა დალოცოს შენი შემოქმედება და ოჯახი.**

**ბაჩუტა ოთხმეზური.**

---

„ცოცხალი- live“ № 13

# "უწიგნებო" მწერალი

***მერაბ ზაქარიაძე ერთი რომანის, ერთი პოემის, ოცზე მეტი ნოველისა და ბევრად მეტი ლექსის ავტორია. სამწუხაროდ, ჯერ მის ნაწარმოებებს სტამბის სურნელი და უცხო მკითხველის თითებით აშრიალებული გვერდების ჩურჩული არ გაუგიათ.***



ჩვენი შეხვედრა ოზურგეთის ბიბლიოთეკაში შედგა, მასპინძლობისათვის მადლობა ბიბლიოთეკას და ქალბატონ ლიკა ბაქანიძეს. ბატონმა მერაბმა მოიტანა ხელნაკეთი წიგნები, რომლის ტექსტი თავად აკრიფა კომპიუტერზე, მეგობარმა, პაატა ხინთიბიძემ კი ამოუბეჭდა და აუკინძა. წიგნების ილუსტრაციები ძირითად, ავტორის დახატულია, ზოგიც ხეზე წვით შესრულებული ნამუშევრის ფოტოპირია. ერთ წიგნში საბავშვო ლექსებს დაუბინავებია, დანარჩენს მეორე წიგნში მოუყრია თავი. მწერალი პროფესიით მშენებელ-ინჟინერი გახლავთ. მას მოვუსმინოთ:

- სკოლაში ქართულს მასწავლიდა აწ გარდაცვლილი ქალბატონი ფეფო ბოლქვაძე, საუკეთესო პედაგოგი, რომლის დამსახურებაცაა, რომ დავინტერესდი ლიტერატურით. ეს ჯერ ჰობი იყო ჩემთვის, თავიდან მხოლოდ ლექსებს ვწერდი, რამდენიმე წელიწადი პოემის წერას დავუთმე, რამდენიმე - რომანს "ნუ მიგვატოვებ", რომანის შემდეგ კი მოთხრობების წერა დავიწყე.

**- ჯერ სტამბას არცე რთი მათგანი აუკინძავს წიგნად, უახლოესი პერსპექტივა არსებობს?**

- სტამბამ "მერიდიანი" გამიკეთა კალკულაცია და 500 ცალის ფასი, ისიც უილუსტრაციოდ, სამი ათასი ლარი ჯდება. სამწუხაროდ, პირადად არ მაქვს ბეჭვდისათვის საჭირო თანხა, 2011 წლის შემდეგ უმუშევარი ვარ, თუმცა არა უსაქმური, ვშრომობ მიწის ნაკვეთზე სოფელ ბაილეთში.

**- მიწასთან ურთიერთობა, სოფელში ცხოვრება თქვენს ნაწარმოებებს ცოტა სხვანაირს ხომ არ ხდის?**

- უდავოდ. რომანშიც მაქვს გურული გლეხის თვალით დანახული ჩვენი ცხოვრება.

**- მწერალს სჭირდება წიგნი და მკითხველი, იქნებ, აქედანაც ვაწვდინოთ პოტენციურ სპონსორს ხმა.**

- ჯერ სპონსორს უშედეგოდ ვეძებ. მინდოდა ძმები ასკანელებისათვის მიმეწვდინა ხმა, მაგრამ ვერ მოვახერხე. არც ვიცნობ ბიზნესმენებს. სანამ სახელისუფლებლო რეფორმები და არჩევნები ჩატარდებოდა, იყო დაპირება ოზურგეთის მერიის კულტურის სამსახურის ადრინდელი ხელმძღვანელისაგან ქალბატონი მარინა ჯაფარიძისაგან, რომ მომზადდებოდა პროექტი და დაიბეჭდებოდა ოზურგეთელი ავტორების და მათ შორის ჩემი ნაწარმოებების ალმანახი. "მარკშრეიდერივით" ველოდები...

**- თქვენ გაქვთ შესანიშნავი იუმორისტული მოთხრობები, რომლებსაც თქვენს ხელნაკეთ წინებში სხვა ნაწარმოებებთან ერთად აცნობთ ოზურგეთელებს, ლიტერატორებს. როგორც ვიცი, მწერალმა რევაზ მიშველაძემაც მოგიწონათ ნაწერები.**

- ბატონი რეზო გენიალური ნოველების ავტორია. მან ძალიან გამახარა თავისი ყურადღებით და შეფასებითაც. მომიწონა პოემაც, ლექსებიც, მოთხრობებიც, რომანიც. მისი სიტყვა ძალიან წონადია.

**- მკითხველისათვის ჯერ არ გვითქვამს, რომ თქვენ ხისგანაც აკეთებთ მოხატულ შესანიშნავ ნივთებს - მაგიდას, თაროს...**

- მაგას გამოყენებითი ხელოვნება ჰქვია. კი, შემიძლია ასეთი რამეების კეთება.

ბატონი მერაბის შემოქმედებაზე საუბარს ვერ დავასრულებთ მისი საბავშვო ლექსების ხსენების გარეშე. აი, ერთი მათგანი:

*ქარი ქოლგას მეცილება.*
*არა და არ მასვენებს.*
*ქარო, ქოლგა რად გჭირდება?*
*რა? წვიმა შენც გასველებს?!*

არა მარტო მერაბ ზაქარიაძე, ოზურგეთიც იმსახურებს, რომ დაეხმარონ მას წიგნად აიკინძოს ნაშრომები. ასე უკეთ გავიცნობთ ოზურგეთში მცხოვრები მწერლის შემოქმედებას.

ბიბლიოთეკაში ერთი ინიციატივა გაჩნდა: მერაბ ზაქარიაძის საღამო მოეწყობა. სიტყვაძვირი მწერალი ნაწარმოებებით გვესაუბრება. იგი დაინტერესებულ მკითხველს თავის ფეისბუქგვერდზე იწვევს, სადაც თავის შემოქმედებას ათავსებს. ვიმედოვნებთ, რომ მალე წიგნის პრეზენტაციაზეც მიგვიწვევს...

**ლია კილაძე**

გადაცემის ვიდეოვერსია ნახეთ ფეისბუქგვერდზე "ცოცხალი- live"

## წერილი 10

# ეგოიზმი, შიში, ჰიპნოზი

დღევანდელ წერილში საუბარი გვექნება ეგოიზმის, შიშისა და ჰიპნოზის შესახებ.

**ეგოიზმი**

ეგოიზმი ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს „მე“-ს ყველაზე და ყველაფერზე წინ დაყენებას, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვას.

ეგოიზმი არის განგების მიერ სულში კოდირებული ერთ-ერთი უძლიერესი, ერთი შეხედვით, ველური, მაგრამ უაღრესად საჭირო თვისება, რომელსაც ყოველი ცოცხალი არსება ამჟღავნებს თავისი ფიზიკური არსებობისას. ეს თვისება, მანამ, სანამ შეგნება საჭირო სიმაღლეზე მიაღწევდეს, ადამიანს აიძულებს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვას, ერთადერთი გამონაკლისის გარდა — შვილის მიმართ დედის მზრუნველობისა.

ეგოიზმი, რომელსაც უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ადამიანის, არამედ მთელი კაცობრიობის განვითარებისათვის, თავისი გამოხატულებით არასდროს ქრება. იგი ყოველთვის ცდილობს თავისი თავის მაქსიმალურად გამოვლენას. იგი არის სულის სხვა თვისებებიდან მკვეთრად გამორჩეული იმ თვალსაზრისით, რომ თუ ყველა დანარჩენი აღმზრდელობითია, მზრუნველობითია, გამაფრთხილებელია და საბოლოო ჯამში ჰუმანური და დადებითია, ეგოიზმის თვისებების ერთნიშნად დადებითად ანდა უარყოფითად შეფასება შეუძლებელია.

უხსოვარი დროიდან დღემდე სწორედ ამ თვისებების გამო ადამიანებს უმოწყალოდ უხოციათ ერთმანეთი, პირისაგან მიწისა აღგვილა უმაღლეს ცივილიზაციას მიღწეული სახელმწიფოები, დანგრეულა ოჯახები, სამეგობრო, შუღლი ჩამოვარდნილა ნათესაობაში, მეზობლობაში და ერთმანეთის მოსიყვარულე ადამიანებში. ჯერაც ძნელი სათქმელია კიდევ რამდენი ხანი დასჭირდება შეგნების იქამდე გაზრდას, რომ მან ჩვენ თავი შეგვაკავებინოს საზოგადოებისაგან მიუღებელი ყოველგვარი აზრისა და ქმედებებისაგან, ეგოიზმის უარყოფითი მხარის, თუნდაც ლიად გამოვლენისაგან.

**შიში**

შიში არის სულის მეათე თვისება. მისი დანიშნულებაა ადამიანს შინაგანად უკარნახოს და გააფრთხილოს სიცოცხლის მიმართ მოსალოდნელი საშიშროების შესახებ. ამასთან დაკავშირებით, იგი ცოცხალ არსებას აიძულებს ყოველ უცნობ მოვლენასა და საერთოდ ყველაფერს ყოველთვის ეჭვის თვალითა და შიშის გრძნობით უყუროს, სიფხიზლე და ყურადღება არავითარ შემთხვევაში არ მოადუნოს.

სხვადასხვა ვითარებაში სხვადასხვა მოვლენების გამო შიში სხვადასხვაგვარად მჟღავნდება, მაგრამ საბოლოო ჯამში იგი ყოველთვის სიცოცხლის გაფრთხილებასთან არის დაკავშირებული.

**ჰიპნოზი**

ადამიანისათვის ჰიპნოზი უხსოვარი დროიდანაა ცნობილი. იგი წარმოადგენს სულის მეთერთმეტე თვისებას და ნიშნავს ცოცხალი არსების გონებრივ გათიშვასა და ილუზიების რეალურად აღქმას. თანამედროვე ცხოვრებაში არსებობენ ე. წ. ჰიპნოზიორები, რომლებსაც გააჩნიათ ერთდროულად ასეულობით და ათასეულობით ადამიანის გათიშვის უნარი., რასაც სხვადასხვა დანიშნულებით იყენებენ. ჰიპნოზის გამოყენება შეიძლება სამკურნალო სეანსების ჩატარებლად და საცირკო ხელოვნების ჩვენებისას.

ასეთ შემთხვევაში ჰიპნოზიორი მაყურებელს ისეთ მომენტებს აჩვენებს, რომლის რეალურად შესრულებაც შეუძლებელია.

ადამიანებში ჰიპნოზი შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა სიძლიერით. თუ ადამიანში ჰიპნოზი ძლიერად ზის, მასში ამ თვისების არსებობა თავისთავად ცხადია იქნება საშუალო ანდა სუსტი ძალის.

სუსტი ძალის ჰიპნოზი სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ პიროვნებამ გარკვეული უპირატესობა მოიპოვოს საუბარში ან კამათში.

საბოლოო ჯამში ჰიპნოზი არის ერთ-ერთი ძლიერი საშუალება რეალობიდან და ჭეშმარიტებიდან აცდენისა და სიყალბეების და ილუზიების ჭეშმარიტებით მიღებისა.

**(გაგრძელება იქნება)**

მასალები მოიპოვა **გურამ ცერცვაძემ,**
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა.

## შოთა ღლონტი ჩემპიონი გახდა

4-6 მარტს ქ. ბათუმში ჩატარდა საქართველოს პირველობა 23 წლამდელთა შორის ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ოზურგეთის ნაკრები გუნდიდან ჩემპიონობა მოიპოვა შოთა ღლონტმა (55კგ; მწვრთნელები გურამ და დავით მაჭარაშვილები); მეორე ადგილი დაიკავეს გიორგი ხუჭუამ (72კგ;. მწვრთნელები ირაკლი და ზურაბ ზურაბიანები.) და ალექსი ლოდიამ (97კგ; მწვრთნელი თენგიზ მუჯირი.) მესამე ადგილზე გავიდნენ გიორგი გუჯაბიძე (67კგ; მწვრთნელები რაკლი და ზურაბ ზურაბიანები.) და კახა კალანდაძე (97 კგ მწვრთნელი კახაბერ აბაშიძე)


## განცხადება

**იყიდება, ან ქირავდება საცხოვრებელი ბინა, ქ. ოზურგეთში, გრიბოედოვის ქ. №21-ში, 1-ლი სართული, ფართი 90 კვ. მ. რომელიც გამოიყენება საცხოვრებლად, კომერციული საჭიროებისათვის ან საოფისედ.**

**ტელ: 599 58 75 32.**

* * *

**იყიდება მიწის ნაკვეთი 9400 კვ. მ. ქობულეთის ტრასაზე, ანასეულის გადასახვევიდან 400 მეტრის დაშორებით.**

**ტელ: 599 58 75 32.**


# სკანვორდი




## № 9-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე: ჯეიმზ ფენიმორ კუპერი; დროის საზომი — საათი; ... ბიწილო — იწილო; ფარდის დასაკიდი — ლავგარდანი; ტაბლეტი — აბი; ტატოს ცხენი — მერანი; ნაპერწკალი — წინწალი; უძველესი შრომის იარაღი — წალდი; მამითადი — ნადი; მუხუდო — სოია; დიდებული — ხასი; სათემო დღეობა გუდამაყარში — ახოობა; სკივრი — ლუსკუმა; ყვავილი — სოსანი; მერქნის მჟავტრავი — კილი; კოცნა — ამბორი; კაფე-თესე — გუგული; გარეული ცხოველი — ნიამორი; ერთგვარი სიცილი — ხითხითი; ხშირტოტიანი დაბალი მცენარე — ბუჩქი; წყნარი მდინარე — დონი; ავთანდილი შემოკლებით — ავთო; ძილის მოკიდება — რული; სოფელი ქობულეთის მუნიციპალიტეტში — ალამბარი; მე-15 ასო-ბგერა — პ; სუბტროპიკული მცენარე — ჩაი; წყლის ბინადარი — ბაყაყი; ჭადრაკის ფიგურა — პაიკი; რეზინის ფეხსაცმელი — კალოში; ვირის ნაშიერი — ჩოჩორი; ტირიფისებრი მცენარე — წნორი; ცნობილი კუნძულები — ჰავაი; რიცხვი — ორი; ლექსის ფორმა — შაირი; პანღური — ჩიტლაყი; ქალის სახელი — ნაილი; გამყიდველი — ნოქარი.

## ძველი ოზურგეთის ქრონიკები

# ამბაკო სალუქვაძის ჭა



ძველად გურიაში ჭას ჭიშკართან ახლოს აკეთებდნენ ისე,რომ გამვლელ, მწყურვალე მგზავრს წყალი თავისით დაელია. თუ მგზავრი დაიძახებდა წყალი დამალევინეო, უპასუხებდნენ ღვინოს ხომ არ ინებებ ჩემო ბატონოო.

ძველ ოზურგეთში, რამდენიმე ადგილას იყო ჭა,რომელიც აღბეჭდილი აქვს მხატვარ ლადო მალაზონიას. ნინო ნაკაშიძე თავის მოგონებებში გადმოგვცემს: ,,ოზურგეთში ციხის მარჯვნივ იდგა ქველია მენაბდის ,კარგა მოზრდილი, ლამაზი ოდა, ოდას კოინდარიანი ეზო შვენოდა. ეზოში ბროწეულის ,ატმის და ქლიავის ყვავილობისას ყოველთვის მიყვარდა იქეთ გახედვა, მაგრამ ჩემს ყურადღებას უფრო იქცევდა დიდი ჭა, რომელიც ჩოხატაურიდან მომავალი მოკენჭილი გზის ბოლოს ქალაქის თავში იდგა და მაღალი ოწინარი ჰქონდა, ოწინარზე კი რკინის ჯაჭვზე გამობმული დიდი ვედრო ეკიდა‘‘ .(ნ.ნაკაშიძე ,,მოგონებენი გურიაზე‘‘.ო.ი.მ. ფ.საქმე 533 გვ.3).

ოზურგეთის ცენტრის (სადაც ახლა გმირთა მოედანია) მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობდა ამბაკო სალუქვაძე,რომლის სახლის წინ იყო მის მიერ ამოთხრილი ჭა. როგორც აღვნიშნეთ, ჭა ლადო მალაზონიას ,,ძველი ოზურგეთის‘‘ სერიებში ხშირად გვხდება, მათ შორის მუზეუმის ფონდებშიც დაცულია საინვენტარო 1903. აღნიშნული ჭის შესახებ ქალბატონმა ზინაიდა სალუქვაძემ (96 წლის საქართველოს დამსახურებული ბიბლიოკარი) მიამბო: ,,დღევანდელი ნინოშვილის ქუჩას ადრე კვირიკეთის ქუჩა ერქვა, სადაც ჩემო ოჯახი ცხოვრობდა .მამაჩემმა ვლადიმერ სალუქვაძემ მეოცე საუკუნის 20-იან წლებში იყიდა სახლი ეზოთი, რაც დამოწმებულია ნასყიდობის წიგნით.

მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის კვირიკეთის ქუჩაზე 14 ოჯახი ცხოვრობდა: ისიდორე კვაშალი, ვლადიმერ სალუქვაძე,სილოვან სკამკოჩაიშვილი, მონასე მუჯირი, ამირან სიხარულიძე, ტუსკია, ჰასი შაქარიშვილი,ნურია შავიშვილი, ელიაძე, ბეჟან ხუნდაძე, ივანე უჯმაჯურიძე, ლადო მალაზონია. დღეს ამ ქუჩაზე 71 ოჯახი ცხოვრობს, ქუჩის დასაწყისში, სადაც ახლა ობელისკია ცხოვრობდა ამბაკო სალუქვაძე, ჰყავდა ორი ვაჟი და ერთი ქალი - გიორგი, შუტი და მარიამი. გიორგი და მარიამი პედაგოგები იყვნენ. შუტუ მაშინდელი ფეხბურთელთა გუნდის მეკარე იყო.საინტერესოა, რომ ამბაკო სალუქვაძეს ჭაზე მიმაგრებული ჰქონდა ჟეტონი წარწერით:,,მე, ამბაკო სალუქვაძემ ამოვთხარე ჭა, ვინც დალიოს,დალოცვილი ქმნას. როგორც გადმოგვცემენ, ბევრი ოზურგეთელი სარგებლობდა ამ ჭით.

თამარ სვანიძე, ოზურგეთის სამხატვრო გალერეიის თანამშრომელი: ,,ჩვენ ვცხოვრობთ აღმაშენებლის ქუჩის (ყოფილი 1905 წლის, ადრე ქუთაისის) დასაწყისში. ბავშვობაში ბებიაჩემი, ქეთევან ნიკოლაიშვილი მიყვებოდა: იქ, სადაც ახლა მუზეუმია, იყო ძველი კედლის ნანგრევები (იგულისხმება გურიის უკანასკნელი მთავრის მამია V გურიელის ყოფილი სასახლის ნანგრევები) მაღალი ყორე, ქვევით კი, სადაც ახლა ომში დაღუპულთა მემორიალია, იყო ჭა და ჩვენ ახლომახლო მცხოვრებნი ვსარგებლობდით ამ ჭით. ახლანდელი ნინოშვილის ქუჩა, ყოფილი კვირიკეთის, იწყებოდა ქუთაისის ქუჩიდან (ახლანდელი აღმაშენებლის) და უერთდებოდა სოფელ კვირიკეთს.

კარგი იქნება თუ ხელისუფლება მოაწესრიგებს გმირთა მოედნის მიმდებარე სკვერს და მასში განათავსებს მეორე მსოფლიო ომის გმირების ბიუსტებს, რომლებიც ინახება ისტორიული მუზეუმის შენობაში, აქვე, აღადგენს ჭას, როგორც სიძველის სიმბოლოს.

**მანანა ლომაძე,**

# თუ თანადგომა იქნება, უკეთესი შედეგი გვექნება“



**ალიონი.** გასულ პარასკევს, ოზურგეთის ცენტრალურ სტადიონზე, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის (რეგიონული ლიგა, ,,ბ‘‘ ჯგუფი) პირველი ტურის მატჩში ,,მერცხალმა‘‘ ჩხოროწყუს ,,ლესიჭინე‘‘ მიიღო და 2:0 დაამარცხა. გოლები შოთა გუჯაბიძემ და ნოდარ მაჭავარიანმა გაიტანეს. პირველი წარმატებული მატჩის შემდეგ საფეხბურთო კლუბ ,,მერცხალის‘‘ გენერალურ დირექტორს, წარსულში ცნობილ ფეხბურთელს **მურთაზ აბაშიძეს** შევხდით და სტადიონზე არსებულ მდგომარეობასა და ,,მერცხალის‘‘ პერსპექტივებზე ვესაუბრეთ:

—მეორე კვირაა, რაც ჩემს მოვალეობას შევუდექი. პირველ ნაბიჯებს ვდგამთ. გუნდმა ერთი კვირის წინ დაიწყო ვარჯიში. ადგილობრივი, ახალგაზრდა ფეხბურთელებითაა გუნდი დაკომპლექტებული. პირველი გამარჯვება მოვიპოვეთ...

**—ვინ უხელმძღვანელებს გუნდს?**

—გუნდის მთავარი მწვრთნელი აკაკი ათუაშვილი იქნება, უფროსი მწვრთნელი ჯუმბერ (ჯონი) კალანდაძე; მწვრთნელები: დავით სურგულაძე და მერაბ ვანიძე; გუნდის უფროსი —შოთა გიორგაძე..

**— რა პრობლემები არის ამჟამად სტადიონზე და რას გეგმავს ,,მერცხალი.‘‘**

— მე არავისი ბოღმა მე არ მაქვს. 3 წლის წინ, როცა სტადიონი დავტოვე, ,,მერცხალი‘‘ პირველ ლიგაში გამოდიოდა. ახლა გუნდი ბოლო ლიგაშია. ამჟამად მთავარი პრობლემა გუნდის უკეთესი შედეგი და საფეხბურთო მინდვრის მოწესრიგებაა.

**— როგორ აპირებთ ამ პრობლემების მოგვარებას?**

—დავიწყოთ მინდვრის პრობლემით. მისი მოწესრიგება ეტაპობრივად მოხდება. მინდორზე მხოლოდ კალენდარული შეხვედრები გაიმართება. გუნდი ბოხვაურის სტადიონზე ივარჯიშებს. ბოხვაურისა და ლაშეს სტადიონებზე ივარჯიშებენ ბავშვები. მომავალში კი ვფიქრობთ სტადიონის ტერიტორიაზე, ყოფილი სპორტდარბაზის ადგილას საფეხბურთო მოედნის მოწყობას, სადაც გუნდები ივარჯიშებენ.

რაც შეეხება ,,მერცხალის‘‘ პერსპექტივებს, მინდა გითხრათ, რომ ეს არ არის კერძო კლუბი, რომ ვინმემ გვიკარნახოს, როგორ მოვიქცეთ. მწვრთნელების საქმიანობა შედეგით განისაზღვრება. თუ არ ექნება შედეგი, გუნდს დატოვებს. გახსოვთ ალბათ, როგორი წარმატებული იყო ჩემი თანამემამულე (ხარაგოულელი) ნოდარ ახალკაცი, რომლის გაწვრთნილმა გუნდს 1981 წელს ევროპის თასი მოაგებინა ,,დინამოს.‘‘ შემდეგ გუნდს ჰქონდა ჩავარდნები და ნოდარმა ,,დინამოს‘‘ მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა.ეს შედარება იმიტომ მოვიყვანე, რომ მწვრთნელმა ღირსეულად შეასრულოს მოვალეობა.

**—მურთაზ, ფეხბურთში წინსვლა სათანადო დაფინანსების გარეშე შეუძლებელია...**

— გეთანხმებით. წელს ადგილობრივი ბიუჯეტით ფეხბურთზე 50 ათასი ლარია გამოყოფილი, მაგრამ მუნიციპალიტეტის მერი, კონსტანტინე შარაშენიძე გვპირდება თანადგომას. სხვების იმედიც გვაქვს. ისე, არავის მივცემ უფლებას, ბიუჯეტის ფული წყალში გადაყაროს. გარდა ამისა, ვქმნით ვეტერანთა ფონდს, სადაც პირადად მე ჩემი ხელფასიდან ყოველთვიურად შევიტან შესატანს. სხვა გეგმებიც გვაქვს, ამ ეტაპზე მთავარია დავლაგდეთ.

მინდა ზოგიერთებს ვუთხრა, რომ ზემოდან სატელეფონო ზარებით ჩემზე ზემოქმედებას ვერ მოახდენენ, გავაკეთებთ იმას, რაც სჭირდება გუნდს და ოზურგეთის პრესტიჟს.

* * *

,,მერცხალი‘‘ პირველ ტურში შემდეგი შემადგენლობით თამაშობდა: ლევან ზვიადაძე, ნუგზარ ინწკირველი, თემურ ალიევი, ელგუჯა ჩხაიძე, ნოდარ სურგულაძე (ვალერი მამალაძე), ვახტანგ დოლიძე (დიმიტრი ჯაფარიძე), შოთა გუჯაბიძე (მერაბ ანდღულაძე), ირაკლი ღლონტი, ზაურ კალანდაძე, ვახტანგ ჯაყელი, ნოდარ მაჭავარიანი.

სხვა შეხვედრები ჯგუფში ასე დამთავრდა: ,,ზანა‘‘ -,,ეგრისი‘‘2:2; მეტა-,,დინამო‘‘ (ბთ 2) 1:2; ,,ოდიში 1919‘‘ - ,,სქური‘‘ 1:1.

მორიგ მატჩს მერცხალი 13 მარტს ბათუმში გამართავს, ადგილობრივ ,,დინამო—2‘‘—თან.

## სულთათანა

# ნინო ჩხაიძე



წარგვტაცა სიკვდილმა კიდევ ერთი უკეთილშობილესი ადამიანი, გულითადი მეგობარი - ნინო ჩხაიძე. უკვე ორმოცი დღე გავიდა რაც ის ჩვენთან აღარ არის.

უერთგულესი, უპატიოსნესი, უანგარო ადამიანი, ყველას მიმართ მზრუნველი და ყურადღებიანი, მოყვასისადმი ბოლომდე დახარჯვის უნარით გამორჩეული, უზომო სიყვარულის გამცემი, იცხოვრა ლამაზი ცხოვრებით წავიდა. ჩვენგან მარადისობისაკენ სავალ გზაზე...

ნინო ჩხაიძე იყო შესანიშნავი პედაგოგი, რომელიც მიღვაწეობდა ოზურგეთის სკოლა-ინტერნატში, შემდეგ კი მე-4 საჯარო სკოლაში.

წავიდა და დატოვა ეს ცოდვილი წუთისოფელი, სპეტაკი სულის ადამიანს გაუჭირდა აქ თავისი ადგილის პოვნა, ცხოვრების ჭუჭყსა და ორომტრიალში მაინც შეძლო თეთრი ბილიკებით ევლო, მხოლოდ სიკეთის კვალი დაეტოვებინა,

წავიდა და გაზაფხული დაგვიტოვა, ალბათ იმიტომ რომ არ გვეგრძნო, მისი არ ყოფნით გამოწვეული სიცივე, ის ხომ ჩვენ ცხოვრებას გვილამაზებდა, გაზაფხულივით გვიქარგავდა ურთიერთობას, სიყვარულის სურნელებით გვივსებდა სულს და გულს.

თვითონ ფაქიზი სულის ადამიანი, მორალისა და ადამიანობის მკაცრი პრინციპებით ცხოვრობდა, პირადი ,,მე‘‘ არსოდეს დაუყენებია პირველ ადგილზე, სხვებისთვის კი ყოველთვის მზად იყო, თავის საქმე გადაედაო და უანგაროდ დადგომოდა გვერდში.ერთგულების უდიდესი ნიჭი გააჩნდა, თავის ტკივილს და წყენას არავის აგრძნობინებდა, თავისთვის ჩაიკლავდა გულში. ბედნიერი იყო მაშინ თუ სხვებს მიანიჭებდა სიამოვნებას.

ადვილი არ არის დაკარგო ასეთი მეგობარი, როგორიც ნინო იყო. და მით უფრო გაუსაძლიასია ტკივილი თავისი გაუბედურებული დედისთვის და მისთვის სათაყვანებელი ძმისთვის.

ნინო, ჩვენო თბილო და ერგულო მეგობარო, ისევ მოვა გაზაფხული, მოვა უშენოდ, მაგრამ მაინც შენთან ერთად, შენ მოხვალ გაზაფხულის ნაირფერი ყვავილების სახით, შენ რომ გიყვარდა... და შენ ისევ გაგვილამაზებ ცხოვრებას.

,,სულთათანა - განუსვენე. მაცხოვარ მხევალს შენსას,

ნუ გეში უთხარ წყნარი, აცხოვნე განუბრწყინე ზეცა‘‘

**შენი მეგობრები**

# საგაზაფხულო სამუშაოები საფუტკრეში



დადგა გაზაფხული და ფუტკრის ოჯახები გადადის აქტიური მოქმედების ფაზაში. ამიტომ მეფუტკრეებმა უნდა მოუსმინონ ფუტკარს და გამოუცხადონ თანადგომა. პირველ რიგში, საგაზაფხულო დათვალიერების დროს ყურადღებით უნდა გადავამოწმოთ საკვების მარაგი. თუ ვინმეს ხელი წაუცდა და თაფლის საზამთრო მარაგი ფუტკარს ნორმაზე ცოტა დაუტოვა, უნდა შევუვსოთ გვაქვს შენახული თაფლიანი ჩარჩოებით ან შაქრის სიროფით (ერთი წილი შაქარი და ერთი წილი წყალი). ეძლევა პრეპარატებ ნოლსუფაზოლთან ან ბიოპრეპარატ ეკოფიტოლთან ერთად. ეკოფიტოლს იყენებენ ნოზემატოზის, ასკოფეროზის, ასპერგილეზის, ამერიკული და ევროპული სიდამპლეების, ფუტკრის ვირუსული დაავადებების საწინააღმდეგოდ.

საკვების მიცემის დროს უნდა დავიცვათ უსაფრთხოების წესები. არ მოხდეს თავდასხმა, ქურდობა საფუტკრეში.

ვარვატოზის წინააღმდეგ ვიყენებთ ვარაკომს ან ვარასტოპის ფირფიტებს ოჯახის სიძლიერის მიხედვით.

საგაზაფხულო შემოწმების შედეგად დგინდება ოჯახის სიძლიერე, ბარტყის რაოდენობა და დედის ხარისხი, აგრეთვე ბუდის საერთო სანიტარიული მდგომარეობა.

გაზაფხულზე, როდესაც სკაში ბოლოსწინა ჩარჩოზე გამოჩნდება ბარტყი, უნდა მოხდეს ბუდის გაფართოვება, უპირველესად, აშენებული კარგი ხარისხის ჩასაკვერცხად ვარგისი ფიჭებით. თანდათანობით, რეგულარულად უნდა მოხდეს ბუდის გაფართოება. რამდენიმე დღის თბილმა ამინდებმა არ უნდა წაგვახალისოს და ბუდეს ნუ გავშლით, ნუ გავაფართოვებთ ისე, რომ მკვეთრი აცივების შემთხვევაში ფუტკარმა იგი ვერ დაფაროს და არ მოხდეს ბარტყის გაცივება.

გაზაფხულზე, ღალიანობის მომატებასთან დაკავშირებით, თანდათანობით ვაძლევთ კარგი ხარისხის საშენ ხელოვნურ ფიჭებს ისე, დროულად ვაფართოვებთ ბუდეს, რათა არ მოცდეს ფუტკარი და არ იფიქროს ბუნებრივ ნაყარზე.

მეფუტკრეობისა და სხვა აგრარული სამეურნეო პრეპარატებისათვის მიაკითხეთ ფერმერთა მომსახურების ცემტრ ,,ხელხვავს‘‘.

**ჯანვერდი ცეცხლაძე,**
გურიის მეფუტკრეთა კავშირის თავმჯდომარე
ტელ. 593 60 99 95.

# თაფლისფერი მზე ყველაზე უკეთ ანათებს

თემურ მარშანიშვილი



ამ გოგონას **ნინო გულხადარაშვილი** რომ ჰქვია, დიდი ხანია, თვალი დავადგი. დიდი ხანია, აბა, რა, როცა შარშან, შემდგომაზე ოზურგეთის სამხატვრო გალერეაში ჩვენებურ მხატვართა გამოფენაზე მისი რამდენიმე ნახატი ვნახე, მას შემდეგ, როგორც შვილს, ისე ვუტრიალებ. გავიკითხ-გამოვიკითხე და ნურას უკაცრავად, ოზურგეთის სამხატვრო სკოლასა და მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრს ჩემზე უკეთესი ხედვა ჰქონია. არ გამკვირვებია, გამიხარდა.

მახსოვს, საგამოფენო დარბაზში შევედი თუ არა, მარჯვენა კედლის საწყისთან ქალი შევამჩნიე, იმდენად ნატურალური ნახატი იყო, არ ჩამოვარდეს-მეთქი, ხელი კინაღამ შევაშველე. დარბაზში, რასაკვირველია, სხვა არაჩვეულებრივი ნახატებიც იყო, მაგრამ ამ ქალმა იმდენად მიიზიდა დამთვალიერებელი, რომ იქვე ვიკითხე, ვინ იყო მისი ავტორი. ნინო გულხადარაშვილი — მიპასუხა ნახატს ქვემოთ განთავსებულმა წარწერამ, რომელმაც ორიოდე წამში უბის წიგნაკში გადაინაცვლა.

მერე კახა ვასაძეს, სამხატვრო სკოლის დირექტორს გავანდე, ამ გოგონაზე წერილი უნდა გავაკეთო-მეთქი. სამხატვრო სკოლაში შევხვდით, ფარღალალა, დიდი ოთახში, იმ შეშის ღუმელთან, ზამთარში რომ მომავალი მხატვრები ეფიცხებიან. საუბარში ღიმილიანი სახით რაღაცის ხატვა დაიწყო. შევეცადე, არ მომეცდინა, სულ რამდენიმე კითხვით შემოვიფარგლე, სურათი გადავუღე და შევთანხმდით, რომ შემდეგ შეხვედრაზე მის სხვა ნახატებსაც მოიტანდა და გამაცნობდა. ვერ გეტყვით, რომელი ვიყავით უფრო მოუცლელი, მაგრამ ეს მეორე შეხვედრა ცოტათი გადაიდო. როცა შევხვდით, პირველ შეხვედრაზე რომ „რაღაცას“ ხატავდა, ის „რაღაცა“ მე აღმოვჩნდი. რომ არ დამავიწყდეს, შემდეგ ეს ჩემი პორტრეტი გამოფენა-კონკურს „ზამთრის ვერნისაჟზე“ მოხვდა, სადაც ნინომ საუკეთესო გრაფიკის ნომინაციაში გაიმარჯვა. წარმოიდგინეთ ახლა, მე რომ ადამიანი დამხატავს და იმ ნახატით ნომინაციას მოიგებს?!

მოხდა ისე, რომ ფოტოაპარატიდან მისი სურათები „აორთქლდა“, მათ შორის ისიც, მას რომ ასე თუ ისე მოეწონა. სამხატვრო სკოლაში მივედი და ხელმეორე გადაღებებით გული ვიჯერე. მეგობარ გოგონასთან ერთად იყო. ამ სურათებში აღმოვაჩინე, რომ მზისსხივჩამდგარი, სიცოცხლით სავსე და სიყვარულით გასაჯერებელი, თაფლისფერი თვალები ჰქონია. არ მიწყენს და საოცრად ვამსგავსე ჩემს ქალიშვილს, ვინაც შვიდი წლის წინ ნამდვილი მზეჭაბუკი მაჩუქა. დიდება შენ, უფალო, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ თაფლისფერი მზე ყველაზე უკეთ ანათებს და ათბობს!

სხვა ნახატები რედაქციაში მომიტანა შემდეგ, არ იყო ხასიათზე, მომიბოდიშა, ბაბუა გარდამეცვალა, ამიტომ შემიგვიანდაო. ახლა სწორედ იმ ნახატებს ვათვალიერებ. გრაფიკა ორიგინალური შტრიხებითაა დახუნძლული, ფერწერაში ნათელი ფერები ჭარბობს... ერთ-ერთიდან, თუ კარგად დააკვირდებით, კაცობრიობის მშვენიერების გვირგვინი, ავტორივით მოხდენილი, თვალს რომ ვერ მოწყვეთ, ისეთი გოგო ამოცურდება ხოლმე.

ნინო გულხადარაშვილი, რომელიც წარმოშობით კახეთიდანაა, მაკვანეთში ცხოვრობს და ამავე სოფლის საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლეა, აუცილებლად იტყვის თავის სათქმელს. მე ვინ და რა კომპეტენტური ვარ, რომ ეს ვამტკიცო?! ნინოსი ყველაზე მეტად მის პედაგოგს მხატვარ ავთანდილ თავართქილაძეს და სამხატვრო სკოლის დირექტორს კახა ვასაძეს ეიმედებათ.





## 8 მარტის სადღესასწაულო საჭადრაკო ტურნირი

ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში დამთავრდა დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეებისადმი მიძღვნილი სადღესასწაულო ტურნირი ჭადრაკში. ტრადიციულად აღნიშნული ტურნირი ბავშვთა ასაკში ტარდება, მაგრამ წელს ეს იგი დაემთხვა ასაკობრივ კატეგორიებში ქ. ფოთში მიმდინარე საქართველოს პირველობას, რომელშიც ოზურგეთელ წამყვან მოსწავლე მოჭადრაკეთა ძირითადი ბირთვი ღებულობდა მონაწილეობას. აღნიშნულის და იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვთა ტურნირისათვის არც სასურველი ამინდები იყო, ღონისძიება ჩატარდა დიდებში. ტურნირი, რომელშიც 12 მოჭადრაკე იყო ჩართული წრიული სისტემით წარიმართა. პირველი ადგილის ბედი შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტურით ადრე გაირკვა. ასკანელმა ოსტატობის კანდიდატმა **დავით კილურაძემ** ყველა პარტიის მოგება შეძლო და ტურნირი რეკორდული მაჩვენებლით მოიგო. მომდევნო საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლა უფრო დაძაბული გამოდგა, სადაც მოხვედრის შანსი ბოლო ტურის წინ ერთდროულად ოთხ მოჭადრაკეს ჰქონდა. საბოლაოდ მეორე ადგილზე **იური დიდმანიძე** გავიდა, ხოლო მესამეზე **ვოვა ქარჩავა**. პრიზიორებს, ნახევარი ქულით ჩამორჩა მომდევნო მე-4-5-ე ადგილზე გასული **გურამ ღლონტი** და **ვოვა ტაკიძე.**

წარმატებულ მოჭადრაკეებს გადაეცათ შესაბამისი დიპლომები და ფასიანი საჩუქრები. ტურნირი ორგანიზებული იყო სპორტის განვითარების ცენტრისა და საჭადრაკო კლუბ „გურიას“ მიერ.

## ოზურგეთელი მკლავჭიდელების წარმატება საქართველოს პირველობაზე

ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი მკლავჭიდში სხვადასხვა ასაკში. აღნიშნულ ღონისძიებაში ოზურგეთის ნაკრები გუნდიდან დიდებში, 75 კგ წონით კატეგორიაში, მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო **ლუკა მგელაძემ** (მარჯვენა მკლავი); 80 კგ წონით კატ-ეგორიაში კი მესამე ადგილი დაიკავა **გიორგი შუკაკიძემ** (მარცხენა მკლავი). მწვრთნელები: **გიორგი რუსიეშვილი** და **ზურაბ ბურჭულაძე.**





განცხადება

ყურადღება! პასქის ფესტივალი 2018

ყველა დიასახლისს, პროფესიონალ თუ მოყვარულ კულინარს გიწვევთ მონაწილეობის მისაღებად.

ფესტივალი უკვე მერვე წელიწადია იმართება. იგი ერთადერთი ფესტივალია, რომელიც მცირე ბიუჯეტით, ხშირად კი ენთუზიაზმით არსებობს და ფაქტობრივად, სახალხო ფესტივალია.

მონაწილეებს, გარდა საკონკურსო კომპოზიციებისა, შეუძლიათ გამოიტანონ გასაყიდად თავიანთი ხელნაკეთი ნივთები, რომლებზეც ფასი იქნება მითითებული.

პასქის ფესტივალი გაიმართება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურში, ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმში, აღდგომის ბრწყინვალე შვიდეულის დღეებში.

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით.

ერთად შევქმნათ პასქის ფესტივალი 2018!

გელოდებით ჩვენს ზეიმზე.

პატივისცემით, ლია კილაძე


ჩვენო პატარა მაყურებლებო!

თოჯინების თეატრი გილოცავთ დედისა და ქალთა დღეებს და ყოველკვირეულად გთავაზობთ სპექტაკლებს უფასოდ . დასაწყისი 13 საათზე.



## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 12 მარტი ორშაბათი | 13 მარტი სამშაბათი | 14 მარტი ოთხშაბათი | 15 მარტი ხუთშაბათი | 16 მარტი პარასკევი | 17 მარტი შაბათი | 11 მარტი კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე, ღრუბელი | მზე, ღრუბელი | მზე, ღრუბელი | მცირე წვიმა | მზე, ღრუბელი | მზე, ღრუბელი | მცირე წვიმა |
| +6+11 | +8+14 | +7+15 | +5+13 | +5+10 | +7+12 | +6+13 |